ოქმი:**ო63. 6323047001**
თარიღი:**16/02/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომის

ო ქ მ ი N1

ქ.სამტრედია 14 თებერვალი. 2023 წელი.

მიმდინარე წლის 14 თებერვალს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს თავმჯდომარის, ტარიელ დვალიშვილის თავმჯდომარეობით, ჩატარდა ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ტარიელ დვალიშვილი , ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე, ლიზა კრავეიშვილი, ირაკლი მელაშვილი,ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ტარიელ ცომაია, ბადრი შენგელია,ლელა ჩორგოლაშვილი, დავით ჯანელიძე, გიორგი ლეჟავა, ჯონი თევზაძე , გიორგი გაგუა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თურქეთის რესპუბლიკის ჰუმანიტარული დახმარების შესახებ.

   /მომხსენებელი: ტარიელ დვალიშვილი/

2. სხვადასხვა

ფრაქციის თავმჯდომარის წინადადებით, ფრაქციის წევრებმა (17 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრთა (17 ხმით), დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ტარიელ დვალიშვილმა, ფრაქციის წევრებს გააცნო ინიციატივა, რომელიც ეხებოდა თურქეთის რესპუბლიკის ჰუმანიტარული დახმარებას, სტიქიით მიყენებული ზარალის გამო.

<u>ტარიელ დვალიშვილი -</u> მოგეხსენებათ ჩვენს მეზობელ ქვეყანაში, თურქეთში მოხდა დამანგრეველი მიწისძვრა. ტრაგედიას გადარჩენილი

ადამიანების დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთი გროვდება სპეციალურად გახსნილ შტაბში და შემდგომში ეს დახმარება გაიგზავნება თურქეთის პროვინციებში.

მე მჯერა თქვენი თანადგომის.

ფრაქციის წევრებმა მოისმინეს და აზრი გამოთქვეს.

გოჩა არველაძე - ჩემი თხოვნა იქნება, რომ დროულად გავაკეთოთ მობილიზაცია და შესაძლებლობის ფარგლებში დავეხმაროთ სტიქიით დაზარალებულებს ტანსაცმლით, საკვებით და ჰიგიენური საშუალებებით.

ლიზა კრავეიშვილი - ჩვენი ჩართულობა აუცილებელია.

ტარიელ ცომაია - კარგი ინიციატივაა, რაშიც ყველა მივიღებთ მონაწილეობას. გაწეული დახმარების გამო, ქართველ ხალხსა და სტიქიის ეპიცენტრში მყოფ მაშველებს თურქეთის ელჩმა მადლობა გადაუხადა.

ნუგზარ ჯამბურია - ქართულ გენს, ქართულ სულს ყოველთვის ჰქონდა, დახმარებისა და თანადგომის უნარი. მადლობა მინდა გითხრათ გვერდით დგომისთვის, რაშიც ეჭვი არ მეპარებოდა.

მოგეხსენებათ საკრებულოს აპარატი, მსგავს საქველმოქმედო აქციებში ყოველთვის იღებს მონაწილეობას და დარწმუნებული ვარ ახლაც შეუერთდება ჩვენს გადაწყვეტილებას.

ფრაქციის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრებმა (17 ხმით) მხარი დაუჭირეს ზემოაღნიშნულს.

სხდომის მდივანი: / ნათია დოლიძე/

ტარიელ დვალიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ფრაქცია ,,ქართული ოცნება”-ფრაქცია ,,ქართული ოცნება”-ს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი